

„სახარების რწმენის ეკლესია“ ორმოცდაათიანელები (ქართული ეკლესია)

პროტესტანტულ მიმდინარეობას მიეკუთვნება სახარების რწმენის ეკლესიაც, რომელიც უფრო ცნობილია ორმოცდაათიანელების სახელწოდებით.

მათი რწმენა დაფუძნებულია ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსზე. არსებითი ნიშნებია: წმინდა სულის ცხოველმყოფელ ძალასა და მოქმედებაზე ყურადღების გამორჩეულად გამახვილება და ქარიზმატული განწყობილება, რასაც ხშირად თან ახლავს წინასწარმეტყველება, „ენებით ლაპარაკი“ და განკურნება.

მიმდინარეობა წარმოიშვა ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-19-20 სს. მიჯნაზე. 1906წ 14 აპრილი- თარიღია მიმდინარეობის დაარსებისა (ჩამოყალიბდა როგორც მისიონერული ეკლესია). მე-20 ს-ის 60-ან წლებში ორად გაიყო: ერთ მხარეს ტრადიციული მიმდინარეობის ორმოცდაათიანელები აღმოჩნდნენ, მეორეზე კი- ქარიზმატები. ორივე მიმართულება დღეს მსოფლიო მაშტაბით ერთ-ერთ ყველაზე მზარდ ეკლესიად ითვლება. მათი რაოდენობა 600 მლნ. უახლოვდება. საქართველოში ორმოცდაათიანელობა ცნობილია მე-20 საუკუნის 20-ანი წლებიდან.

მათი სახელწოდება- ორმოცდაათი ანუ ბერძნულიდან „პენტეკასტე“, რაც 50-ე დღის სასწაულზე მიგვანიშნებს(იგულისხმება სულთმოფენობა).

მე-20ს. მეორე ნახევარში საქართველოში იწყებს მუშაობას შვედური მისია „სინათლე ხალხისთვის“, რომელმაც საქართველოში ორმოცდაათიანელთა წინამორბედის როლი შეასრულა. ორმოცდაათიანელთა თემი საქართველოში 1918წ. ჩამოყალიბდა თურქეთიდან გადმოსახლებული რუსების ბაზაზე, მაგრამ წყლით ნათლობას ვერ ატარებდნენ ვინაიდან ხელდასხმული ხუცესი არ ჰყავდათ. ნათლობა მხოლოდ 1942წ. შედგა უკრაინიდან ჩამოსულ ვასილ

ბიზიაევის მიერ. 1929-30წწ., უკრაინიდან, ძირითადად ხერსონისა და ნიკოლაევის ოლქებიდან გოლოდომორს(შიმშილობას) გამოქცეული ორმოცდაათიანელებიც ჩამოსახლდნენ დასავლეთ საქართველოში. 1932წ. მოხდა ორმოცდაათიანელთა პირველი მასიური დაპატიმრება: დასავლეთ საქართველოსი 300 ორმოცდაათიანელი მორწმუნე დააკავეს და ფოთის პორტიდან გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს და მათი ბედი დღემდე უცნობია.

მძლავრი რეპრესიების მიუხედავად ეკლესიები იქმნებოდა სხვა და სხვა ქალაქებშიც. ორმოცდაათიანელთა პირველი ქართულენოვანი ჯგუფი 1945წ. გორში ჩამოყალიბდა. მისი ხელმძღვანელები გიორგი (ჟორა) კოჭლავაშვილი და ბესარიონ კურმაშვილი იყვნენ. 1951წ. დაიწყო მათი მასიური დაპატიმრება. თბილისის 87 წევრიან ეკლესიიდან 40 დააპატიმრეს. ხელმძღვანელ პირებს- 25 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, დანარჩენებს - 8-10წელი. სტალინის სიკვდილის შემდეგ 1953წ. მათი დიდი ნაწილი გაანთავისუფლეს, მაგრამ 1961წ. დაიწყო კვლავ მასობრივი დაპატიმრებები. მარტო თბილისში 14 ორმოცდაათიანელი დაიჭირეს, უმრავლესობა მეორედ მისცეს სამართალში. გორის ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს დააპატიმრეს გიორგი კოჭლავაშვილი და ბესარიონ კურმაშვილი. მათზე ფიზიკური და მორალური ზეწოლა ხორციელდებოდა. მთავრობა ცდილობდა ხალხში ზიზღი გაეღვიძებინა მათ მიმართ. მათ საწინააღმდეგოდ მთავრობამ გამოუშვა ჟურნალი „წყვდიადი“.

1970წ. საქართველოს ორმოცდაათიანელთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა აღინიშნა: უკრაინიდან ჩამოსულმა ეპისკოპოსმა ნიკოლაი კამინსკიმ ქართულენოვან ეკლესიის ხუცესად აკურთხა გიორგი კოჭლავაშვილი, რუსულენოვან ეკლესიის ხუცესად- ალიომა სლივკოვი, დიაკვნად კი- ტიმოთე ბიზიაევი. ეკლესიებმა დაიწყეს ზრდა. 1981წ. კი უკრაინიდან ჩამოსულმა ეპისკოპოსებმა აკურთხეს ხუცესად ოლეგ ხუბაშვილი და რომან გაჩეჩილაძე.

ქართული ორმოცდაათიანელთა ეკლესია მჭიდროდ ურთიერთობს ევროპისა და ამერიკის ანალოგიურ ეკლესიებთან, გერმანულ მისიასთან

“ნეემია“, შვედურ მისიასთან „სინათლე ერებისთვის“ და ამერიკის ქრისტიანულ მისიასთან „საღვთო ასამბლეა“. ეკლესიები აქვთ საქართველოს ყველა კუთხეში.

საქართველოში ორმოცდაათიანელთა ეკლესიების რაოდენობა 120-ს აღემატება, მორწმუნეთა რაოდენობა- 10 ათასს აღწევს. გამოსცემენ ჟურნალს „სინათლე ხალხებისათვის“.